29

# საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

# აქტი

№ 3/00 „ 30 " იანვარი 2012 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის
და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი

„30" 01 2012 წელი

ეგზ. N2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების
„საქართველოს სასაზღვრო პოლიციის" ფინანსური აუდიტის აქტი

01/01/2008-31/12/2010

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96
ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136; www.control.ge

# სარჩევი

**ფინანსური ანგარიშგებები**

გადასახდელების ანგარიშგება ..... 3

საბალანსო ანგარიშგება ..... 4

წმინდა ღირებულების ანგარიშგება ..... 5

**ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები**

1. ძირითადი საქმიანობა ..... 6

2. გადასახდელები ..... 7

2.1 შრომის ანაზღაურება ..... 7

2.2 საქონელი და მომსახურება ..... 8

2.3 სოციალური უზრუნველყოფა ..... 11

2.4 სხვა ხარჯები ..... 11

2.5 არაფინანსური აქტივების ზრდა ..... 12

3. საბალანსო ანგარიშგება ..... 12

3.1 ფულადი აქტივები და ვალდებულებები ..... 12

3.2 დებიტორული დავალიანება ..... 12

3.3 კრედიტორული დავალიანება ..... 13

3.4 არაფინანსური აქტივები ..... 14

3.5 წმინდა ღირებულება ..... 16

# ფინანსური ანგარიშგებები

## გადასახდელების ანგარიშგება

(ათას ლარებში)

| | | 2008 | | 2009 | | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | განმარტება | საკასო | ფაქტიური | საკასო | ფაქტიური | საკასო | ფაქტიური |
| შრომის ანაზღაურება | 2.1 | 36,321 | 36,322 | 37,393 | 37,389 | 41,434 | 41,429 |
| საქონელი და მომსახურება | 2.2 | 15,480 | 12,019 | 14,676 | 12,852 | 12,614 | 13,272 |
| ძირითა კაპიტალის მოხმარება | | - | 5,773 | - | 8,100 | - | 7,371 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2.3 | 300 | 300 | 375 | 375 | 490 | 489 |
| სხვა ხარჯები | 2.4 | 674 | 1,220 | 837 | 887 | 902 | 898 |
| **სულ ხარჯები** | | **52,775** | **55,634** | **53,281** | **59,601** | **55,440** | **63,460** |
| | | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.5 | 27,224 | - | 11,199 | - | 6,397 | - |
| ვალდებულებების შემცირება | | - | - | - | - | 6 | - |
| **სულ გადასახდელები** | | **79,999** | **55,634** | **64,481** | **59,601** | **61,842** | **63,460** |

## საბალანსო ანგარიშგება

(ათას ლარებში)

| აქტივები | განმარტება | 31/12/2008 | 31/12/2009 | 31/12/2010 |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 3.1 | - | - | 30 |
| დებიტორული დავალიანებები | 3.2 | 13,268 | 7,202 | 9,396 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | | **13,268** | **7,202** | **9,426** |
| **არაფინანსური აქტივები** | | | | |
| შენობა-ნაგებობები | 3.4 | 27,217 | 34,945 | 34,374 |
| მანქანა დანადგარები და მოწყობილობები | 3.4 | 50,098 | 59,330 | 56,065 |
| სხვა ძირითადი აქტივები | 3.4 | 8,357 | 7,869 | 8,372 |
| მატერიალური მარაგები და ფასეულობები | 3.4 | 7,948 | 11,459 | 11,389 |
| არაწარმოებული აქტივები | 3.4 | 157 | 157 | 157 |
| **სულ არაფინანსური აქტივები** | | **93,777** | **113,760** | **110,358** |
| **სულ აქტივები** | | **107,045** | **120,962** | **119,784** |
| | | | | |
| **ვალდებულებები და კაპიტალი** | | | | |
| კრედიტორული დავალიანებები | 3.3 | 1,336 | 1,334 | 1,362 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 3.3 | 360 | 359 | 360 |
| გადასახდელი ხელფასები | 3.3 | 1,155 | 1,139 | 1,121 |
| სხვა ვალდებულებები | 3.3 | 420 | 420 | 420 |
| წმინდა ღირებულება | 3.5 | 103,774 | 117,710 | 116,521 |
| **სულ ვალდებულებები კაპიტალი** | | **107,045** | **120,962** | **119,784** |

## წმინდა ღირებულების ანგარიშგება

(ათას ლარებში)

| | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|
| **ნაშთი - 1 იანვარი** | **82,340** | **103,774** | **117,710** |
| ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | 79,999 | 64,481 | 61,842 |
| შემოსავლები: | 2 | 1,957 | 637 |
| *გრანტები* | - | *1,784* | *637* |
| *სხვა შემოსავლები* | *2* | *173* | *0* |
| აქტივების უსასყიდლოდ მიღება | 5,935 | 13,785 | 2,850 |
| *ძირითადი აქტივები* | *5,228* | *11,642* | *2,127* |
| *მატერიალური მარაგები* | *707* | *2,143* | *723* |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები | 1 141 | 27 | 1,108 |
| **სულ ზრდა** | **87 077** | **80,250** | **66,437** |
| ხარჯები | 55,634 | 59,601 | 63,460 |
| აქტივების უსასყიდლოდ გაცემა | 9,018 | 3,378 | 1,379 |
| *ძირითადი აქტივები* | *8,069* | *3,344* | *1,287* |
| *მატერიალური მარაგები* | *949* | *34* | *92* |
| სხვა ეკონომიკური ნაკადები | 991 | 3,335 | 2,787 |
| **სულ შემცირება** | **65,643** | **66,314** | **67,626** |
| *წმინდა ნაზრდი პერიოდის განმავლობაში* | *21,434* | *13,936* | *- 1,189* |
| ნაშთი - 31 დეკემბერი | 103,774 | 117,710 | 116,521 |

## შესავალი

| | |
|---|---|
| აუდიტის საფუძველი | საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 31 აგვისტოს N50/43 და 2011 წლის 4 ნოემბრის N56/43 ბრძანებები |
| აუდიტის ვადა | 31/08/2011 – 30/11/2011 |
| აუდიტის პერიოდი | 01/01/2008 – 01/01/2011 |

## შემოკლებანი

| | |
|---|---|
| სამინისტრო (შსს) | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| სასაზღვრო პოლიცია | შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია |

## 1. ძირითადი საქმიანობა

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობას, სახელმწიფო, საზოგადოებისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების და ქონების დაცვას;

სასაზღვრო პოლიციის საქმინობის სფეროა საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის დაცვა და კონტროლი;

სასაზღვრო პოლიციის საბალანსო ერთეულებია:

- ცენტრალური აპარატი;
- სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი:
    - პირველი სამმართველო (ბათუმი)
    - მეორე სამმართველო (ახალციხე)
    - მესამე სამმართველო (წითელი ხიდი)
    - მეოთხე სამმართველო (დედოფლისწყარო)
    - მეხუთე სამმართველო (ლაგოდეხი)
    - მეექვსე სამმართველო (ბარისახო)

- მეშვიდე სამმართველო (ყაზბეგი)
- მერვე სამმართველო (ჯავა-ონი)
- მეცხრე სამმართველო (მესტია)
- მეათე სამმართველო (ზემო აფხაზეთი)

- სანაპირო დაცვის დეპარტამენტი.

2008 წლის პერიოდში სასაზღვრო პოლიციის საბალანსო ერთეულებს წარმოადგენდნენ ავიაციის სამმართველო, გადამზადების ცენტრი და სწრაფი რეაგირების რაზმი, რომლებიც იმავე წელს იქნენ ლიკვიდირებულები.

აუდირებულ პერიოდში, გარდა ცენტრალური აპარატისა, სხვა საბალანსო ერთულების საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობა პროგრამულად (პროგრამა „ორისი") სრულად უზრუნველყოფილი არ ყოფილა, რის გამოც ვერ მოხერხდა აუდიტის მიზნებისათვის საჭირო ინფორმაციის ელექტრონული სახით მოწოდება. გამომდინარე აქედან, სასაზღვრო პოლიციის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში აუდიტს დაექვემდებარა მხოლოდ ცენტრალური აპარატის ფინანსური ანგარიშგება.

## 2. გადასახდელები

### 2.1 შრომის ანაზღაურება

სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატის შრომის ანაზღაურება ეკონომიკური კლასიფიკაციის ქვემუხლების მიხედვით:

(ათას ლარებში)

| | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|
| თანამდებობრივი სარგო | 4,534 | 4,132 | 5,011 |
| წოდებრივი სარგო | 143 | 107 | 138 |
| პრემია | 463 | 1,367 | 1,595 |
| დანამატი | 908 | 573 | 756 |
| კომპენსაცია | 494 | 36 | 10 |
| **შრომის ანაზღაურება** | **6,542** | **6,215** | **7,510** |

2010 წელს 2009 წელთან შედარებით შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების ზრდა განპირობებულია 2010 წლის 1 იანვრიდან თანამდებობრივი სარგოს მომატებით, პრემიის ხარჯების ზრდით და ფაქტიურად დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნების მცირე მატებით.

შსს სასაზღვრო პოლიციაში უმაღლესი სახელფასო განაკვეთი განსაზღვრული აქვს სასაზღვრო პოლიციის უფროსს და შეადგენს 2,950 ლარს, ხოლო უმცირესი სახელფასო განაკვეთი 310 ლარი - დამხმარე მოსამსახურეს.

წლის განმავლობაში კონკრეტულ მოსამსახურეზე მთლიანობაში დარიცხული პრემიის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 27,9 ათას ლარს. ერთჯერადად მოსამსახურეზე გაცემული პრემიის მაქსიმალური ოდენობაა 4,0 ათასი ლარი.

ბალანსის დანართის (ფორმა N2) მონაცემებით თანამშრომელთა ფაქტიური რიცხოვნება 2008 წელს შეადგენს 3,509, 2009 წელს - 3,654, ხოლო 2010 წელს 3,697 კაცს.

## 2.2 საქონელი და მომსახურება

ცენტრალური აპარატის საქონელი და მომსახურების ხარჯი ეკონომიკური კლასიფიკაციის ქვემუხლების მიხედვით:

| | 2008 | | 2009 | | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საკასო | ფაქტ. | საკასო | ფაქტ. | საკასო | ფაქტ. |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 32 | 32 | 18 | 18 | 26 | 26 |
| მივლინებები | 239 | 236 | 353 | 337 | 444 | 428 |
| ოფისის ხარჯები | 1,665 | 1,021 | 1,717 | 1,251 | 1,137 | 949 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 176 | 169 | 137 | 129 | 55 | 67 |
| კვების ხარჯები | 1,899 | 129 | 3,500 | 8 | 1,613 | 27 |
| სამედიცინო ხარჯები | 22 | 9 | 7 | 9 | 16 | 3 |
| რბ. ინვენტარის, უნიფორმის და ჰიგიენის ხარჯ. | 5,479 | 481 | 3,673 | 373 | 1,580 | 346 |
| ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპ. ხარჯები | 3,675 | 411 | 3,707 | 723 | 5,819 | 991 |
| სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენა | - | 2 | - | 0 | - | 1 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 461 | 463 | 133 | 124 | 68 | 70 |
| **სულ** | **13,648** | **2,953** | **13,245** | **2,972** | **10,758** | **2,908** |

### შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

2008 წელს შტატგარეშე მოსამსახურეთათვის გაწეულია 32 ათასი ლარის, 2009 წელს - 18 ათასი ლარის და 2010 წელს 26 ათასი ლარის საკასო ხარჯი. ცენტრალური აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტიური რიცხოვნობა 2008, 2009 და 2010 წლებში შეადგენდა, შესაბამისად, 21, 13 და 17 მოსამსახურეს.

### მივლინებები

2008 წლის განმავლობაში მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 239 ათასი ლარი, მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ 194ათასი ლარი (81%), ხოლო ქვეყნის შიგნით - 45 ათასი ლარი (19%). 2009 წელს მივლინების ქვემუხლით გაიხარჯა 353 ათასი ლარი.

მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაზე 209 ათასი (59%) და ქვეყნის შიგნით 144 ათასი ლარი (41%). 2010 წელს - 444 ათასი ლარი, მათ შორის: ქვეყნის ფარგლებს გარეთ 307 ათასი ლარი (69%), ხოლო ქვეყნის შიგნით - 137 ათასი ლარი (31%).

**ოფისის ხარჯები**

ოფისის ხარჯები მოიცავს კომუნალურ, კავშირგაბმულობის, ასევე საოფისე ტექნიკის და ინვენტარის, საკანცელარიო საქონელის, სამეურნეო და ელექტრო საქონელის, კარტრიჯების, კომპიუტერული აქსესუარების შეძენისა და ოფისის სხვა ხარჯებს. 2008 წლის ოფისის ხარჯების საკასო ხარჯი შეადგენდა 1,665 ათას ლარს, 2009 წელს 1,717ათას, ხოლო 2010 წელს 1,137 ათას ლარს.

**კვების ხარჯები**

სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატი სასაზღვრო პოლიციის სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის ახორციელებს კვების პროდუქტების შესყიდვას ცენტრალიზებულად და გადასცემს ავიზოებით სტრუქტურულ ერთეულებს, რითაც აიხსნება ამ მუხლში ცენტრალური აპარატის საკასო ხარჯის ფაქტიურზე მეტობა. 2008 წელს კვების ხარჯებზე გაწეულია 1,899 ათასი, 2009 წელს - 3,500 ათასი, ხოლო 2010 წელს - 1,613 ათასი ლარის საკასო ხარჯი. სტრუქტურულ ერთეულებზე გადაცემულია 2008 წელს 532 ათასი, 2009 წელს 1,357 ათასი, ხოლო 2010 წელს 2,386 (მათ შორის ნაწილი შესყიდულია წინა წელს) ათასი ლარის კვების პროდუქტები, რომლის მოხმარება ასახულია მათ ფაქტიურ ხარჯში.

აუდირებულ პერიოდში, 2008 წლის განმავლობაში, სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებების საფუძველზე, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებზე (ცენტრალური აპარატი და სანაპირო დაცვის დეპარტამენტი) ყოველთვიურად გამოიყოფოდა სპეციალური დანამატი სხვადასხვა ოდენობით.

ბრძანებების გამოცემის საფუძვლად მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 28 ივნისის N397 ბრძანებულების მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად თანამდებობრივ ყოველთვიურ სპეციალურ დანამატებს ამტკიცებს სასაზღვრო პოლიციის უფროსი. დანამატის გაცემა ბრძანებებში დასაბუთებულია „სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე და მოსამსახურეთა სოციალური დაცვის მიზნით".

ფაქტობრივად, მოცემული სპეციალური დანამატი თანამშრომლებზე არ გაიცემოდა. კვებითი მომსახურების მიმღებ პირს დანამატის საშემოსავლო გადასახადი ექვითებოდა ხელფასიდან. სპეციალური დანამატის ოდენობა ბიუჯეტში გადაირიცხებოდა ყოველთვიურად შრომის ანაზღაურების გაცემისას. ამავდროულად, დადგენილი წესის შესაბამისად სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებზე გაიცემოდა კვების კომპენსაცია.

კვების ტალონების საფუძველზე ხორციელდებოდა სასაზღვრო პოლიციის იმ მოსამსახურეთა კვებითი მომსახურება, რომლებიც გამოთქვამდნენ ამის სურვილს. კვებას უზრუნველყოფდა სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში ფუნქციონირებადი სასადილო.

კვებით მომსახურების სამართლებრივ საფუძვლად აუდიტისათვის წარმოდგენილი იქნა სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2006 წლის 13 ოქტომბრის N427 ბრძანება სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფის შესახებ, ასევე 25/06/2007 წელს დამტკიცებული ინსტრუქცია ყოველდღიური ერთჯერადი კვების ტალონების მომხმარებელთათვის.

კვებითი პროდუქტების შესყიდვა და სასადილოს პერსონალის, როგორც შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხორცილედებოდა სასაზღვრო პოლიციისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

აუდიტით დადგინდა, რომ 2008 წელს სულ:

სპეციალური დანამატი დარიცხული იქნა - 129 ათასი ლარის ოდენობით; აქედან, ხელზე გასაცემი დანამატის ოდენობაა - 103 ათასი ლარი; სპეციალური დანამატის მიმღებ პირთა რაოდენობამ შეადგინა ყოველთვიურად საშუალოდ - 221 პირი;

შრომის ანაზღაურებიდან დაკავებული კვების ტალონების საფასურის ოდენობაა - 129 ათასი ლარი;

კვების მომსახურების ხარჯმა შეადგინა - 142 ათასი ლარი (მათ შორის, კვების პროდუქტების - 115 ათასი და სასადილოს პერსონალის შრომის ანაზღაურების - 27 ათასი ლარი);

სხვაობა კვების მომსახურების ხარჯისა და შრომის ანაზღაურებიდან დაკავებულ კვების ტალონების საფასურის ოდენობას შორის შეადგენს - 13 ათას ლარს;

**რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები**

კვების ხარჯების მსგავსად, სასაზღვრო პოლიციის ცენტრალური აპარატი რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შესყიდვას ახორციელებს ცენტრალიზებულად, რის შემდგომ გადასცემს სტრუქტურულ ერთეულებს ავიზოებით. 2008 წელს აღნიშნული მუხლით გაწეულია 5,479 ათასი, 2009 წელს - 3,673 ათასი, ხოლო 2010 წელს - 1,580 ათასი ლარის საკასო ხარჯი, ხოლო გადაცემულია 2008 წელს 4,257 ათასი, 2009 წელს 2,746 ათასი, ხოლო 2010 წელს 3,067 ათასი ლარის (ნაწილი გადაცემულია მარაგებიდან).

**ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები**

2008 წელს ტრანსპორტის მოვლა-შენახვასა და ექსპლუატაციაზე გახარჯულია 3,675 ათასი ლარის საკასო ხარჯი, აქედან შესყიდულია 3,516 ათასი ლარის საწვავ-საპოხი მასალები, 159 ათასი ლარის ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილები.

2009 წელს - გახარჯულია 3,707 ათასი ლარი, მათ შორის: საწვავის შესყიდვაზე 2,663 ათასი, საპოხ მასალებზე 171 ათასი, სათადარიგო ნაწილებსა და ტექმომსახურებაზე 873 ათასი ლარი.

2010 წლის განმავლობაში ტრანსპოტრის მოვლა-შენახვაზე გაწეულია 5,819 ათასი ლარის საკასო ხარჯი. საწვავის შეძენაზე 4,777 ათასი, საპოხ მასალებზე 237 ათასი, სათადარიგო ნაწილებსა და ტექმომსახურებაზე 875 ათასი ლარი.

ცენტრალური აპარატი საწვავის შესყიდვას ახორციელებს ცენტალიზებულად და შემდეგ გადასცემს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. ამ მიზეზით აიხსნება საკასო ხარჯების მეტობა ფაქტიურ ხარჯზე. შემდგომი მოხმარებისათვის სტრუქტურულ ერთეულებზე გადაცემულია 2008 წელს 2,231 ათასი, 2009 წელს 1,884 ათასი, ხოლო 2010 წელს 1,969 ათასი ლარის საწვავი.

**სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება**

მოიცავს საპროექტო სამუშაოების, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სარეკლამო და სხვა სახის ხარჯებს. 2008 წელს აღნიშნული მუხლით გაწეულია 461 ათასი, 2009 წელს - 133 ათასი, ხოლო 2010 წელს 68 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

**2.3 სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაიცემა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში გაცემული დროებით შრომისუუნარობის დახმარება, დეკრეტული შვებულება, თანამშრომლებზე გაცემული შემწეობები (რომლის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასაზღვრო პოლიციაში შექმნილი სპეციალური კომისია, დახმარება გაიცემა არაუმეტეს ხელფასის ოდენობით) და დაჭრილ/დაღუპულ თანამშრომელის ოჯახზე გაცემული დახმარებები.

2008 წლის განმავლობაში სოციალური უზრუნველყოს მუხლით გაწეულია 211 ათასი ლარის, 2009 წელს 168 ათასი, 2010 წელს 148 ათასი ლარის საკასო ხარჯი.

**2.4 სხვა ხარჯები**

სხვა ხარჯების მუხლით 2008 წელს გახარჯულია 669 ათასი ლარის საკასო ხარჯი, აქედან 449 ათასი ლარი თანამშრომელთა დაზღვევაზე, ხოლო 70 ათასი ლარი ავტომობილების დაზღვევაზე. 150 ათასი ლარი წარმოადგენს დამქირავებლის მიერ გადახდილ საშემოსავლო გადასახადს სადაზღვევო შენატანებიდან.

2009 წელს - 835 ათასი ლარის საკასო ხარჯი გადახდილია თანამშრომელთა დაზღვევაზე (სადაზღვევო შენატანები და დამქირავებლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი)

2010 წელს - სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 900 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აქედან, 719 ლარი გახარჯულია თანამშრომელთა დაზღვევაზე, ხოლო 181 ათასი ლარი ავტომობილების დაზღვევაზე.

### 2.5 არაფინანსური აქტივების ზრდა

2008 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაიხარჯა 26,667 ათასი ლარი, 2009 წელს 10,7312 ათასი, ხოლო 2010 წელს - 6,317 ათასი ლარი.

გადახდები განხორციელდა სასაზღვრო პოლიციის სამმართველოების მშენებლობაზე (აშენდა ახალციხის, დედოფლისწყაროს, ბარისახოს და ლაგოდეხის სამმართველოების სექტორები), ცენტრალური ოფისის რემონტზე, სატრანსპორტო საშუალებების (შესყიდულია მაღალი გამავლობის და მსუბუქი ავტომანქანები, კატარღები, კვადროციკლები, თოვლმავლები და ა.შ) და სხვა მატერიალური აქტივების შესყიდვაზე (გენერატორები, ღამის ხედვის ხელსაწყოები, ნავიგაციის სისტემები და ა.შ).

## 3. საბალანსო ანგარიშგება

### 3.1 ფულადი აქტივები და ვალდებულებები

სასაზღვრო პოლიცია ხარჯის გაწევასთან დაკავშირებულ ოპერაციებს აწარმოებს როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ანგარიშსწორებით.

აუდირებულ პერიოდში ნაღდი ანგარიშსწორებით ხდება მივლინების და ფარული ხარჯების გაწევა. ერთეულ შემთხვევებში სალაროდან გაიცა დაჭრილ და დაღუპულ თანამშრომელთა ოჯახებისთვის გაწეული სოციალური დახმარება.

### 3.2 დებიტორული დავალიანება

სასაზღვრო პოლიციის დებიტორული დავალიანებების ნაშთი 2008, 2009 და 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს, შესაბამისად 13,268 ათას, 7,202 ათას და 9,396 ათას ლარს. დებიტორული დავალიანების დიდი ნაწილი მოდის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ანგარიშზე, აქედან, სამივე წლის განმავლობაში მუდმივად ირიცხება 994 ათასი ლარის დავალიანება 2 მომწოდებელზე: შპს „თორელი“ და „ფირმა 89“, ხოლო 500 ათასი ლარი არის ჩასათვლელი დღგ იმპორტირებული კატარღის ღირებულებიდან (საიდუმლო ხელშეკრულება).

მოთხოვნები დანაკლისებით ანგარიშზე ძირითადად ირიცხება ზემო აფხაზეთის სამმართველოს და სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ის ქონება, რაც ფაქტობრივი ფლობიდან გავიდა 2008 წელს განვითარებული მოვლენების (რუსეთის მიერ განხორციელებული თავდასხმა) შედეგად.

საქართველოს პრეზიდენტის N197 ბრძანებულების თანახმად 2008 წელს ომის შედეგად გამოვლენილი დანაკლისები გადაგზავნილია თავდაცვის სამინისტროში „სამხედრო ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისია"-ზე განსახილველად შემდგომი ჩამოწერის მიზნით.

(ათას ლარებში)

| | 31/12/2008 | 31/12/2009 | 31/12/2010 |
|---|---|---|---|
| მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 9,147 | 4,494 | 6,662 |
| მოთხოვნები მივლინებით | 9 | 24 | 40 |
| მოთხოვნები დანაკლისებით | 3,970 | 2,537 | 2,547 |
| ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები | 142 | 147 | 147 |
| **სულ დებიტორული დავალიანება** | **13,268** | **7,202** | **9,396** |

## 3.3 კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანების ბალანსი აუდირებულ პერიოდში უმნიშვნელოდ იცვლება. 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,272 ათას ლარს და 2009 წელს 3,252 ათას, ხოლო 2010 წელს 3,233 ათას ლარს. დავალიანების დიდი ნაწილი მოდის ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან (41%) და გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის (35%) ანგარიშებზე (ძირითადად წარმოშობილია 2004 წლამდე პერიოდში).

ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან:

- „ბოგდან ხმელინცკის სახელობის უკრაინის ნაციონალური აკადემია" - 621 ათასი ლარი (უკრაინის სასაზღვრო უწყების ნაციონალური აკადემიაში სასწავლო კურსს გადიოდნენ საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის კურსანტები);

- შპს „აუდიტცენტრი იბერია" - ზე ირიცხება 157 ათასი ლარი (ხელშეკრულების საგანია ქონების შეფასების საექსპერტო მომსახურება. ვალდებულება წარმოიშვა 2003-2004 წლებში);

- შპს „აუდიტ ცენტრი იბერია 2004 - 53 ათასი ლარი (ქონების შეფასების საექსპერტო მომსახურება. ვალდებულება წარმოიშვა 2004 წელს);

სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანების ანგარიშზე ნაშთი აუდირებულ პერიოდში არ შეცვლილა და შეადგენს 249 ათას ლარს. აღნიშული დავალიანებები წარმოშობილია 2001-2006 წლებში და წარმოადგენს ანგარიშვალდებული პირების მიმართ არსებულ დავალიანებებს.

ინფორმაცია კრედიტორული დავალიანებების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

(ათას ლარებში)

| | 31/12/2008 | 31/12/2009 | 31/12/2010 |
|---|---|---|---|
| ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან | 1,336 | 1,334 | 1,332 |
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 345 | 344 | 345 |
| ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები | 15 | 15 | 15 |
| გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის | 1,155 | 1,139 | 1,121 |
| ვალდებულებები მივლინებით | 42 | 41 | 41 |
| სასამართლოს ან/და ადმინ. ორგ. გადაწ. დაკავებული თანხები | 44 | 44 | 44 |
| ვალდებულებები დეპონენტების მიმართ | 86 | 86 | 86 |
| სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები | 249 | 249 | 249 |
| **სულ** | **3,272** | **3,252** | **3,233** |

## 3.4 არაფინანსური აქტივები

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაზღვრო პოლიციის არაფინანსური აქტივები შეადგენს 93,778 ათას ლარს, 2009 წელს 113,761 ათას, ხოლო 2010 წელს 110,358 ათას ლარს.

| (ათას ლარებში) | შენობა-ნაგებობა | სატრან. საშუალებები | სხვა მანქ/დან. | სხვა ძირ. აქტივები | მატ. მარაგები | მიწა | არაფინანსური აქტივები (სულ) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 01/01/2008** | **19,182** | **20,749** | **15,311** | **6,831** | **5,174** | **172** | **67,418** |
| მიღება | 10,518 | 25,599 | 3,699 | 9,204 | 13,176 | - | 62,196 |
| გასვლა | 2,483 | 5,880 | 9,380 | 7,678 | 10,403 | 15 | 35,838 |
| **ნაშთი 31/12/2008** | **27,217** | **40,468** | **9,630** | **8,357** | **7,947** | **157** | **93,777** |
| მიღება | 10,141 | 18,055 | 2,767 | 4,595 | 13,926 | - | 49,485 |
| გასვლა | 2,413 | 7,015 | 4,576 | 5,083 | 10,415 | - | 29,502 |
| **ნაშთი 31/12/2009** | **34,945** | **51,508** | **7,821** | **7,869** | **11,459** | **157** | **113,760** |
| მიღება | 1,832 | 2,784 | 2,215 | 1,022 | 10,850 | - | 18,702 |
| გასვლა | 2,403 | 6,942 | 1,321 | 519 | 10,920 | - | 22,105 |
| **ნაშთი 01/01/2010** | **34,374** | **47,350** | **8,715** | **8,372** | **11,389** | **157** | **110,358** |

**შენობა-ნაგებობები**

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასაზღვრო პოლიციას ერიცხება შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ არის შეფასებული და საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული.

**სატრანსპორტო საშუალებები**

2008 წელს სასაზღვრო პოლიციამ შეიძინა 25,277 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალება (სწრაფმავალი ხომალდი 22,283 ათასი ლარი, ავტომობილები, თოვლმავლები, კვადროციკლები და ა.შ), ხოლო უსასყიდლოდ გადმოეცა 322 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალება (შინაგან საქმეთა, თავდაცვის და ფინანსთა სამინისტროდან).

2009 წელს - შეიძინეს 9,887 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალება (ავტომობილები, კატარღა, კვადროციკლი და ა.შ) უსასყიდლოდ გადმოეცა 7,856 ათასი ლარის (აშშ), გრანტით 288 ათასი ლარის (თურქეთის რესპუბლიკისგან - 4 ერთეული Land Rover Defender) სატრანსპორტო საშუალება.

2010 წელს სასაზღვრო პოლიციამ შეიძინა 2,488 ათასი ლარის სატრანსპორტო საშუალებები (მერსედეს-უნიმოგები, კატარღა და ა.შ) უსასყიდლოდ გადმოეცა 227 ათასი ლარის (შსს-დან), ხოლო გრანტით 69 ათასი ლარის (თურქეთის რესპუბლიკისგან- 1 ერთეული Land Rover Defender) სატრანსპორტო საშუალება.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სასაზღვრო პოლიციის კუთვნილი (უსასყიდლოდ გადმოცემული) 7 ერთეული კატარღა არ არის შეფასებული (ერთი ერთეული საპატრულო კატარღა გამართულია).

**სხვა მანქანა-დანადგარები**

2008 წელს სასაზღვრო პოლიციამ შეიძინა 1,069 ათასი ლარის სხვა მანქანა-დანადგარები (კომპიუტერული ტექნიკა, დამხმარე აღჭურვილობადა ა.შ ), უსასყიდლოდ გადმოეცა 2,609 (აშშ ჰუმანიტარული კომპიუტერები) ათასი ლარის.

2009 წელს - შეიძინეს 1,222 ათასი ლარის (გენერატორები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ), უსასყიდლოდ გადმოეცა 239,3 ათასი ლარის, ხოლო გრანტით 1,184 ათასი ლარის (აშშ-სა და თურქეთის რესპუბლიკისგან კავშირგაბმულობის საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა) სხვა მანქანა-დანადგარები.

2010 წელს სასაზღვრო პოლიციამ შეიძინა 768 ათასი ლარის, უსასყიდლოდ გადმოეცა 983 ათასი ლარის, ხოლო გრანტით 463 ათასი ლარის სხვა მანქანა-დანადგარები.

### მატერიალური მარაგები

2008 წელს სასაზღვრო პოლიციამ მიიღო 13,176 ათასი ლარის მატერიალური მარაგები (რბილი ინვენტარი, საწვავი, სურსათი, სატელეფონო ბარათები და ა.შ ), მათ შორის: შეისყიდა 12,449 ათასი, უსასყიდლოდ გადმოეცა 707 ათასი, ხოლო სხვა ეკონომიკური ნაკადებით 20 ათასი ლარის.

2009 წელს - მიიღო 13,926 ათასი ლარის მატერიალური მარაგები, აქედან შემენილ იქნა 11,462 ათასი უსასყიდლოდ გადმოეცა 2,143 ათასი, გრანტით 309 (აშშ) ათასი და სხვა ეკონომიკური ნაკადებით 12 ათასი ლარის.

2010 წელს - სულ მიიღო 10,849,6 ათასი ლარის მატერიალური მარაგები, მათ შორის: შეიძინეს 9,801 ათასი ლარის, უსასყიდლოდ გადმოეცა 722 ათასი, გრანტით 105 ათასი, ხოლო სხვა ეკონომიკური ნაკადებით 221 ათასი ლარის მატერიალური მარაგები.

### 3.5 წმინდა ღირებულება

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოს წმინდა ღირებულება შეადგენდა 103,774 ათას ლარს, 2009 წელს 117,710 ათას ლარს და 2010 წელს - 116,521 ათას ლარს.

აუდირებულ პერიოდში საგამოძიებო ორგანოების მიერ ამოღებულ იქნა 2008 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოების, ავტო-ტრანსპორტის, უნიფორმის, შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაცია, საერთო ღირებულებით 9.8 მილიონი ლარი. აღნიშნულის გამო ვერ შემოწმდა ამ ნაწილში სახელმწიფო შესყიდვების კანონიერების საკითხი.

## აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები

ირაკლი ყენია

უფროსი აუდიტორი (ჯგუფის ხელმძღვანელი) ხელმოწერა 30.01.2006 თარიღი

მაია მუჯირიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი ხელმოწერა 30.01.20126 თარიღი

მეგი კოდოშვილი

აუდიტორ-ასისტენტი ხელმოწერა 30.01.20126 თარიღი